

## აქციების შერჩევა ჰორსტის მაჩვენებლის გამოყენებით და საფოდო ბაზრის ფრაქტალური ანალიზი

ლაშა გურგენიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განხილულია საფონდო აქციების პროგნოზირებადობის შეფასება პორტფოლიის გამოყენებით. პორტფოლიის მაჩვენებელი ბაზირებულია გამოყენებითი მათემატიკის რამდენიმე დარგზე, როგორებიცაა ფრაქტალური და ქაოსის თეორიები, სპექტრალური ანალიზი, რაც საშუალებას გვაძლევს შეფასების თუ რამდენად პროგნოზირებადია საფონდო ბირჟის ფასიანი ქაღალდების ფასი. სტატიაში გადაწყვეტილია ფასიანი ქაღალდების შეფასების პრაქტიკული მაგალითი, რომელისთვისაც გამოყენებულია VTB ბანკის აქციების პროგნოზირებადობის შეფასება.

**საკვანძო სიტყვა:** ფასიანი ქაღალდები. საფონდო ბირჟა. პორტფოლიის მაჩვენებელი.

### 1. შესავალი

აქციების შერჩევა და მისი ჩართვა საინვესტიციო პორტფოლიში არის ერთერთი მთავარი ამოცანა პორტფოლიის მართვისას. წარმატებული მართვის გარანტია არის აქციების შერჩევა აუცილებელი საინვესტიციო მაჩვენებლით. არსებობს სხვადასხვა განსხვავებული მოდელი და აქციების შერჩევის მეთოდი: CAPM მოდელზე დაფუძნებით, საშუალო შემოსავლებით, კომპანიის ფინანსური ანგარიშების მიხედვით, მაკროეკონომიკური ფაქტორების შესწავლისა და ტექნიკური ანალიზის საფუძველზე, რევერსიული მოდელები, ნეირონული ქსელები და ა.შ.

როგორც წესი, ნებისმიერი აქციის შეფასება ხდება მომავალში მიღებული შემოსავლების და რისკების გათვალისწინებით. ეს მიღებობა უკვე გახდა კლასიკური. მომავალში შემოსავლიანობის პროგნოზორებისათვის ინვესტორები იყენებენ სხვადასხვა პროგნოზირების მოდელებს. რისკების შეფასებისათვის იყენებენ სტანდარტულ გადახრებს. მაგრამ სამწუხაროდ, საბაზრო აქტივების ფასები უბრალო მოდელებით არ აღიწერება და დღეისათვის არ არსებობს მოდელი, რომელიც სრულად ასახავს საფონდო ბაზარს. აქციების შემოსავლიანობის აღწერის დროს, ნორმალური განაწილების გამოყენებისას არ არის შესაძლებელი აისახოს ბაზრის ის ეფექტები როგორიცაა „მძიმე კუდები“ და მაღალი ექსცესები. აქციების შერჩევისას, აუცილებელია უფრო ადეკვატური პარამეტრების შემოღება.

### 2. ბირითადი ნაწილი

მანდელბორტის მიერ იქნა შენიშვნული, რომ აქციების ფასების გრაფიკს აქვს წილადური განზომილებები ისეთივე, როგორიც აქვს ფრაქტალური რიგს. აქედან შეიქმნა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ფასიანი რიგებიც არის ფრაქტალური და აქვთ ფრაქტალური რიგის თვისებები.

ფრაქტალური გეომეტრიის ტემპერატურით ფასიანი რიგის ანალიზი საშუალებას გვაძლევს სხვადასხვანაირად შევხედოთ საფონდო ბაზარს.

ფასიანი რიგის სტოქასტიკობის განსაზღვრისათვის იყენებენ ეგრეთწოდებულ პორტფოლიის (Hurst) მაჩვენებელს.

პორტფოლიის მაჩვენებელი ტრეიდერს საშუალებას აძლევს ორი მთავარი დახასიათება მიიღოს ფასიანი რიგის შესახებ.

ჯერ ერთი, „ბაზრის მეხსიერება“ მოძრაობის ინერტულობის შეფასებისას. ბაზრის მეხსიერება მოიცავს რეტროსექტრული მონაცემების სიღრმეს, რომლებიც გავლენას ახდენს

მიმღინარე ფასების ფორმირებაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაზრის მეხსიერების ანალიზისას, კლასიკური სტატისტიკით, იყენებენ აუტოკორელაციურ ფუნქციას.

მეორე კი - პორსტის მაჩვენებელი არის მდგრადი, შეიცავს მინიმალურს შესასწავლ მასალას, მთავარი კი არის ის, რომ შეუძლია დროის რიგის იდენტიფიკაცია.

პორსტის მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ დროითი რიგები მათი მნიშვნელობების საშუალებით: თუ, ის იღებს შემდეგ მნიშვნელობებს  $0 < H < 0.5$  მაშინ მწკრივი არის ანტიპერისტენტული დროის რიგი, ანუ რიგი, რომლისთვისაც უფრო მოსალოდნელია წინა მიმართულების ცვლა. ეს პორცესები უფრო დამახასიათებელია ტურბულენტური ეფექტისათვის.

$H=0.5$  - დროის რიგი სტოქასტიკურია. ასეთ პორცეს უწოდებენ „თეთრ ხმაურს“.

$0.5 < H < 1$  - პერისტენტული დროის რიგი(ასევე უწოდებენ „შავ ხმაურს“), ანუ მიმართულების რიგი, რომლისთვისაც აზრი აქვს ტრეიდინგს. ასეთი რიგები შეინიშნება სწორედ ფინანსურ ბაზარზე.

### 3. პორსტის მაჩვენებლის პრაქტიკული გამოყენება

პორსტის მაჩვენებელი ინვესტორს საშუალებას აძლევს სათანადო ინფორმაციას ფინანსურ აქტივების ხასიათის შესახებ. პორსტის მაჩვენებლის გამოყენება აქციების შერჩევისას საშუალებას გვაძლევს თავიდან მოვიშოროთ არაეფექტური აქციები. აქციების სტანდარტული კრიტერიუმის შერჩევასთან ერთად, საშუალო შემოსავლიანობაზე დაყრდნობით და სტანდარტულ გადახრებთან შეევაფასთ აქციები პორსტის ფრაქტალური მაჩვენებლის საშუალებით. ასეთი მეთოდით ჩვენ შევაერთებთ აქტივების შეფასების კლასიკურ პარამეტრებს და პორსტის მაჩვენებლებს.

პორსტის მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის ვისარგებლოთ საოფისე პროგრამით MS EXCEL. პორსტის მაჩვენებელი გამოისახება ფორმულით:

$$\sigma(T) = \sigma(\tau) \cdot (T/\tau)^H$$

სადაც

$\sigma$ - აქციის შემოსავლების სტანდარტული გადახრაა;

$T$ - დროის პერიოდი;

$\tau$ - საბაზრო დროითი პერიოდი;

$H$ - პორსტის მაჩვენებელი.

პირველად აუცილებელია მივიღოთ აქციების კოტორების სტატისტიკა. ავიღოთ VTB ბანკის (VTBR) აქციების 3 წლიანი სტატისტიკა, რომელიც ვაჭრობს ბირჟაზე. კოტირება აღებულია 2012 წლის 1 აპრილიდან. 2015 წლის 1 აპრილამდე.

შემდეგ აუცილებელია შევიტანოთ მონაცემები. 60 წუთი, ყოველდღიური, კვირეული და თვიური კოტირებით. ცხრილში და გამოვითვალოთ მათი შემოსავლები. მივიღეთ 6777 საათობრივი კოტირება, 753 დღიური, 156 კვირეული და 37 თვიური კოტირება. ამის შემდგომ გამოვითვალოთ ამ რიგის შემოსავლები ფორმულით = (B3-B2)/B2 ანალოგიურად სხვა რიგებისათვისაც.

საერთო სურათი წარმოდგენილია 1-ელ ნახაზზე.

A	B	C	D	E	F	G	H	I
1	TICKER	60	D		W	M		
2	VTBR	0.06775	0.06827		0.06707		0.0632	
3	VTBR	0.06782	0.001033	0.06978	0.022118	0.0658	0.018935	0.05307 -0.19088
4	VTBR	0.06757	-0.00369	0.06746	-0.03325	0.06571	0.001368	0.05707 0.070089
5	VTBR	0.06776	0.002812	0.06827	0.012007	0.0632	0.038198	0.05303 -0.07618
6	VTBR	0.06758	-0.00266	0.06707	-0.01758	0.05901	0.066297	0.0534 0.006929
7	VTBR	0.06726	-0.00474	0.06772	0.009691	0.05889	0.002034	0.05307 -0.00622
8	VTBR	0.06751	0.003717	0.06668	-0.01536	0.0543	0.077942	0.0545 0.026239
9	VTBR	0.06757	0.000889	0.06684	0.0024	0.0541	0.003683	0.05193 -0.04949

ნახ.1.


შემდეგ აუცილებელია ვიპოვოთ შემოსავლების სტანდარტული გადახრები ხვადასხვა დროის რიგებისათვის. ის გამოითვლება ფორმულებით =STDEV(C3:C6778), შედეგი წარმოდგენილია მე-2 ნახაზზე.

L	M	N	O
STDEV	Timeframe	ln_STDEV	LN_T
0.0069578	60	-4.96789429	4.094345
0.0199889	495	-3.91257876	6.204558
0.0463854	2475	-3.07077133	7.813996
0.0933934	10692	-2.37093422	9.277251

ნახ.2

STDEV სვეტში გამოთვლილია სხვადასხვა დროითი ტაიმფრეიმის შესაბამისი სტანდარტული გადახრა. „ტაიმფრეიმის“ სვეტში მდებარეობს დროებითი დიაპაზონის სიგრძეები: საათობრივი, დღიური, საკვირაო და თვიური. სვეტში ln\_STDEV გამოთვლილია ნატურალური ლოგარითმები, რომლებიც გადახრილია სტანდარტულისგან, ხოლო ln\_T სვეტში შესაბამისად ტაიმფრეიმის ნატურალური ლოგარითმები. ნატურალური ლოგარითმების გამოსათვლელი ფორმულა შემდეგია =LN(L2) და =LN(M2).

ყველა აუცილებელი პარამეტრის გაანგარიშების შემდეგ გამოვითვლით პორსტის პარამეტრს. ამისთვის ვიპოვოთ წრფივი რეგრესიის კოეფიციენტი აქციების შემოსავლების ლოგარითმულ გადახრასა და ტაიმფრეიმის ლოგარითმებს შორის. ქვემოთ მოყვანილია რეგრესიის წრფივი გრაფიკი 1.



ნახ.3

წრფივი რეგრესიის კოეფიციენტი არის სწორედ პორსტის მაჩვენებელი. ჩვენ შემთხვევაში ის ტოლია 0,86. რაც შესაბამება პერსისტენტულ რიგის მაჩვენებელს. ანუ ეს აქციები დამახასიათებელია ტრენდირებისათვის.

#### **4. დასკვნა**

პორსტის მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს განვასაზღვროთ ისეთი აუცილებელი თვისება ფასიანი ქაღალდებისა როგორიცაა ტრენდირება. ეს მაჩვენებელი არის უნივერსალური და გამოიყენება ნებისმიერი დროითი რიგისთვის, უცნობი განაწილების დროსაც (მაგალთად ფასიანი რიგის განაწილებისას). ყოველივე ეს მას ხდის შეუცვლელ ინსტრუმენტად აქციების ანალიზისას. რომლისთვისაც დამახასიათებელია ძლიერ არაწრფივობა, მაღალი ექსცესი და „მბიმე კუდები“. ყველა შესაძლო სიტუაციის აღწერა ბაზარზე ნირმალური განაწილების გზით მოითხოვს ფინანსური მართველისაგან გამოიყენოს ახალი, უფრო ეფექტური და უნივერსალური მეთოდები ფასიანი ქაღალდების მართვის საფრთხო ბაზარზე.

#### **ლიტერატურა:**

1. [http://www.bearcave.com/misl/misl\\_tech/wavelets/hurst/](http://www.bearcave.com/misl/misl_tech/wavelets/hurst/)
2. Jason k. (2012). Stock Market Investing.

## **PICKING UP STOCK SHARES BY MEANS OF HURST EXPONENT AND FRACTAL ANALYSIS OF THE STOCK MARKET**

Lasha Gurgenidze

Georgian Technical University

#### **Summary**

This article describes estimation of stock shares within Hurst exponent. It gives us opportunity to define the value of stock shares. The Hurst exponent occurs in several areas of applied mathematics, including fractals and chaos theory, spectral analysis. A practical example of estimation stock shares is solved in this article. We use VTB bank stock shares to prove this.

## **ВЫБОР АКЦИЙ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ПОКАЗАТЕЛЯ ХЁРСТА ФРАКТАЛЬНЫЙ АНАЛИЗ ФОНДОВОГО РЫНКА**

Гургенидзе Л.

Грузинский Технический Университет

#### **Резюме**

Рассматривается оценка прогнозируемости цен фондовых акций при помощи показателя Херста. Показатель Херста основан на применении методов нескольких областей прикладной математики, в том числе теории фракталов, теории хаоса и спектрального анализа, что дает возможность более обоснованно оценить прогнозируемость фондовых ценных бумаг. В статье приведен практический пример расчета прогнозируемости акции ВТБ банка.